

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა

No 6

რას ნიშნავს აშშ-ის მიერ
თურქეთისთვის სანქციების დაწესება

ზურაბ ბატიაშვილი

ა.წ. 14 დეკემბერს აშშ-მ, CAATSA-ს („ამერიკის მოწინააღმდეგეთა მიმართ სანქციების საშუალებით მოქმედების“ შესახებ კანონი) ფარგლებში, სანქციები დაუწესა თურქეთს. მიზეზი ამ უკანასკნელის მიერ რუსული წარმოების S-400-ების საჰაერო თავდაცვის სისტემების შეძენაა. ვაშინგტონში მიაჩნიათ, რომ S-400-ები შეუთავსებელია ნატოს სტანდარტებთან და საფრთხეს უქმნის ალიანსის ბრძოლისუნარიანობას.

ამავე საკითხის გამო ვაშინგტონმა 2019 წელს ანკარას 100 ერთეული F-35-ის (ამერიკული გამანადგურებლები) მიყიდვის პროგრამა შეუჩერა და გაუუქმა მათი ნაწილების წარმოების შეკვეთაც, რის გამოც თურქეთმა დაახლოებით 9 მლრდ აშშ დოლარი იზარალა.



რუსული წარმოების S-400-ების ჩატანა ანკარაში, 2019 წლის 12 ივლისი

14 დეკემბერს შემოღებული სანქციები კიდევ ერთი დამატებითი პრობლემაა ისედაც სირთულეებით სავსე თურქეთისა და დასავლეთის ურთიერთობებში.

რას მოიცავს ამერიკული სანქციები

თურქეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები არის ერთგვარი კომპრომისული ვარიანტი პრეზიდენტ ტრამპისა (რომელიც ყველანაირად ცდილობდა თურქეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღებისგან თავის შეკავებას) და სახელმწიფო მდივან პომპეოს (რომელსაც დამაბული ურთიერთობა აქვს თურქეთთან) პოზიციებს შორის.

საბოლოო ჯამში, ამერიკული სანქციები ისეთი სახით დამტკიცდა, რომ, როგორც ვაშინგტონშიც აღნიშნეს, რაც შეიძლება ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო ანკარისთვის და, შესაბამისად, მინიმალური ზიანი მიდგომოდა ორმხრივ ურთიერთობებს.

მართლაც, ასეთი მიდგომის ერთ-ერთ ინდიკატორად შეიძლება მივიჩნიოთ ფაქტი, რომ სანქციების შემოღების შემდეგ თურქული ლირა ძველ ნიშნულზე დარჩა და წინა სანქციებთან დაკავშირებული ვითარებისგან განსხვავებით, არ გაუფასურებულა.

ამერიკული სანქციების ერთი ნაწილი უფრო კონკრეტულია, მეორე კი მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს.

სანქციების კონკრეტული ნაწილის მიხედვით, იკრძალება საექსპორტო ლიცენზიის გაცემა თურქეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიერ წარმოებულ იმ პროდუქციაზე, რომელიც შექმნილია ამერიკული ნაწილებით.

ვაშინგტონი ასევე კრძალავს ამერიკული ინსტიტუტების მიერ თურქეთის თავდაცვის ინდუსტრიისთვის ყველა სახის სესხისა და კრედიტების გაცემას, რომელიც 10 მლნ აშშ დოლარზე მეტი ოდენობისა იქნება.

ეს კი ის საკითხებია, რომელთა გამოც სხვა ქვეყნების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლებმა შესაძლოა თავი შეიკავონ თურქ კოლეგებთან თანამშრომლობისგან, რაც ნამდვილად არ შედის ანკარის ინტერესებში.

სანქციების მეორე ნაწილი უფრო სიმბოლური მნიშვნელობისაა. მაგალითად, იყინება თურქეთის თავდაცვის ინდუსტრიის დირექტორატის პრეზიდენტის ისმაილ დემირის, ასევე ვიცე-პრეზიდენტისა და კიდევ ორი თანამშრომლის უძრავი ქონება და ანგარიშები აშშ-ში. მათ აღარც აშშ-ის ვიზებს მისცემენ. დემირმა იმავე დღეს

განაცხადა, რომ არც მას და არც მის თანამშრომლებს არავითარი ქონება და ანგარიშები არ გააჩნიათ აშშ-ში.



თურქეთის თავდაცვის ინდუსტრიის დირექტორატის პრეზიდენტი ისმაილ დემირი

სანქციების გამოცხადების პარალელურად სახელმწიფო მდივანმა პომპეომ აღნიშნა, რომ თურქეთი კვლავ რჩება აშშ-ის მნიშვნელოვან პარტნიორად რეგიონში და მოუწოდა თურქეთის ხელმძღვანელობას აშშ-სთან კოორდინაციით მოაგვარონ S-400-ებთან დაკავშირებული პრობლემა.

საინტერესოა, რომ აშშ-ის მიერ სანქციების შემოღება, თურქეთის გარდა, მალევე დაგმეს რუსეთმა და ირანმა.

ანკარაში ასევე განაცხადეს, რომ თურქეთი მიიღებს შესაბამის საპასუხო ზომებს. თუმცა, არ დაზუსტებულა, კონკრეტულად რა სახის ნაბიჯებს გადადგამს იგი.

დასკვნები

აშშ-ის მიერ თურქეთის სამხედრო-სამრეწველო სექტორის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები მნიშვნელოვანი პოლიტიკური გზავნილია. თუმცა, ის არ არის მძიმე და არ აზიანებს თურქული ეკონომიკის სხვა სექტორებს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ანკარისთვის. ამგვარად, ვაშინგტონსა და ანაკარას შორის კვლავ რჩება მოლაპარაკებებით პრობლემების მოგვარების გზა.

ბევრი რამ იქნება დამოკიდებული არჩეულ პრეზიდენტ ჯო ბაიდენზე, რომელიც 2021 წლის 20 იანვრიდან ოფიციალურად შეუდგება აშშ-ის პრეზიდენტის უფლებამოსილებების შესრულებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელზე მუშაობაც მას სერიოზულად მოუწევს საგარეო პოლიტიკაში, იქნება თურქეთთან წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემები.

ბაიდენი, დიდი ალბათობით, როგორც სხვა საგარეო პოლიტიკურ საკითხებში, თურქეთთან მიმართებითაც საერთო პოლიტიკის შემუშავებას ევროპელ კოლეგებთან ერთად შეეცდება. მით უმეტეს, ევროპელმა ლიდერებმა ასეთი სურვილი უკვე გამოთქვეს 10-11 დეკემბერს გამართული ევროკავშირის სამიტის დროს, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, ასევე იმსჯელეს თურქეთის წინააღმდეგ შესაძლო (ოღონდ - ამჯერად უკვე ევროპული) სანქციების შემოღების შესაძლებლობაზე.